დედის ემიგრაციაში ყოფნის გავლენა შინ დარჩენილი მოზარდების შფოთვაზე

ნათია ქვარაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია ქვარაია

18.06.2021

აბსტრაქტი

ემიგრაცია ჩვენს ქვეყანაში აქტუალური და პრობლემური საკითხია, ბევრ დედას უწევს შვილის დატოვება და საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლა. შინ დარჩენილი მოზარდები განიცდიან სხვადასხვა ფსიქოლოგიურ პრობლემებს დედის არ ყოფნის გამო. მოცემულ კვლევაში საუბარია აღზრდის განზომილებებზე, რომელსაც იყენებენ ემიგრანტი დედა და ძირითადი მზრუნველი, რომელიც რჩება მოზარდთან დედის მიგრაციის შემდეგ. მოცემული კვლევა აღზრდის განზომილებებში მოიაზრებს მხარდაჭერას, ფსიქოლოგიურ და ქცევის კონტროლს. კვლევის მიზანი იყო ეჩვენებინა კავშირი აღზრდის მიდგომებსა და შინ დარჩენილი მოზარდის შფოთვას შორის. გარდა ამისა, აღზრდის განზომილებების პრედიქტორული ღირებულების კვლევა შფოთვასთან. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 37 მონაწილემ. საკვლევ ინსტრუმენტად გამოყენებული იქნა აღზრდის განზომილებების კითხვარი და ზოგადი შფოთვითი აშლილობის კითხვარი. აღზრდის განზომილებებსა და შფოთვას შორის კავშირის დასადგენად გამოყენებულია პირსონის კორელაციის კოეფიციენტი, ხოლო აღზრდის განზომილებების პრედიქტორული ღირებულების გამოსავლენად გამოყენებულია მრავლობითი რეგრესიის მოდელი. შედეგებმა გამოავლინა, რომ დედის მხარდაჭერა მნიშვნელოვან უარყოფით კორელაციაშია შფოთვასთან. მზრუნველის და დედის ფსიქოლოგიური კონტროლი დადებით კორელაციაშია მოზარდის შფოთვასთან. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ემიგრანტი დედის მიერ გამოყენებული აღზრდის განზომილებების წვლილი მეტია მოზარდის შფოთვის განვითარებაში, ვიდრე აღმზრდელის.

საკვანძო სიტყვები: აღზრდის განზომილებები, ემიგრაცია, შინ დარჩენილი ბავშვი, შფოთვა

Abstract

Emigration is an actual and problematic issue in our country. Many Georgian mothers have to leave their children and go abroad to work. Left behind adults experience various psychological problems due to the absence of the mother. This study discusses the dimensions of upbringing, which is used by the emigrated mother and the primary caregiver who remains with the adolescent after the mother migration. The present study considers support, psychological and behavioral control in the dimensions of upbringing. The aim of the study was to show a link between parenting approaches and left behind adolescent anxiety. Futhermore, a study of the predictive value of parenting dimensions with anxiety. 37 adolescents participated in the study. The Pearson correlation coefficient is used to determine the relationship between parenting dimensions and anxiety, while the multiple regression model is used to determine the predictive value of parenting dimensions. The results showed that maternal support was significantly negatively correlated with anxiety. Psychological control of the caregiver and mother is positively correlated with adolescent anxiety. Research has also shown that, the dimensions of an immigrant mother's upbringing contribute more to the development of adolescent anxiety than the dimensions of a caregivier's upbringing.

Keywords: Dimensions of upbringing, emigration, left behind adult, anxiety

მადლობა

მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ ნინო ჯავახიშვილს, რომელიც ნაშრომის წერის პროცესში მაძლევდა მნიშვნელოვან რჩევებს, ღირებულ უკუკავშირს და მუდმივად მზად იყო დახმარებისთვის.